საქმე №330350021004414318
საქმე №3/1055-21

6572657384036
www.ecd.court.ge

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

2 მარტი, 2021 წელი

ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მოსამართლე ლელა მილდენბერგერი

შუამდგომლობის ავტორი - საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მოთხოვნა - გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 751 (1992) და 1844 (2008) რეზოლუციების შესაბამისად მოქმედი სომალის სანქციათა კომიტეტის მიერ გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციების საფუძველზე განსაზღვრულ ფიზიკურ პირთა სიაში დამატებული ფიზიკური პირების ქონებაზე ყადაღის დადება

სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა შუამდგომლობა და

## გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის $21^{30}$ მუხლის, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 დეკემბრის №487 დადგენილებით განსაზღვრული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისიის დებულების მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, 2021 წლის 1 მარტს, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში წარმოდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილის შუამდგომლობა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 751 (1992) და 1844 (2008) რეზოლუციების შესაბამისად მოქმედი სომალის სანქციათა კომიტეტის მიერ გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციების საფუძველზე განსაზღვრულ ფიზიკურ პირთა სიაში დამატებული 3 ფიზიკური პირის ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე:

| პირადი ინფორმაცია (სახელ(ებ)ი, დაბ. თარიღი და ადგილი, | ფსევდონიმ(ებ)ი, ზედმეტსახელ(ებ)ი | პასპორტის მონაცემები, პირადი | მისამართი/შესაძლო ადგილსამყოფელი | სიაში შეყვანის თარიღი | სხვა ინფორმაცია |
|---|---|---|---|---|---|



/6.

| ეროვნება/ მოქალაქეობა) | | ნომერი | | | |
|---|---|---|---|---|---|
| *სახელები:*<br><br>1)აბუქარ (ABUKAR)<br>2) ალი (ALI)<br>3) ადან (ADAN)<br><br>*თანამდებობა:*<br>ალ-შაბააბის ლიდერის მოადგილე<br><br>(Deputy leader of Al- Shabaab)<br><br>*დაბადების თარიღი:*<br><br>ა) 1972 წელი;<br>ბ)1971 წელი;<br>გ) 1973 წელი<br><br>*დაბადების ადგილი:*<br>არ არის ცნობილი<br><br>*მოქალაქეობა:*<br>არ არის ცნობილი | ა) აბუქარ ალი ადენ (Abukar Ali Aden);<br><br>ბ) იბრაჰიმ აფგჰან (Ibrahim Afghan);<br><br>გ) შეიხ აბუქარ (Sheikh Abukar) | არ არის ცნობილი | არ არის ცნობილი | 2021 წლის 26 თებერვალი (26 Feb. 2021) | სანქციათა სიაში დამატებულია გაერო-ს უშიშროების საბჭოს 1844 (2008) რეზოლუციის მე-8 პარაგრაფის „ა“ პუნქტის შესაბამისად, როგორც „სომალიში მშვიდობის, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებში ჩართული ან მხარდამჭერი პირი, მათ შორის ქმედებებში რომლებიც საფრთხეს უქმნის 2008 წლის 18 აგვისტოს ჯიბუტის შეთანხმებას, პოლიტიკურ პროცესებს, საფრთხეს უქმნის გარდამავალ სამთავრობო დაწესებულებებს ან აფრიკის კავშირის სამშვიდობო მისიას [illegible] |



| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | ა ალ-ქაედასთან აფილირებულ ჯგუფებთან, ალ-ქაედა არაბეთის ნახევარკუნძულსა (AQAP-QDe.129) და ალ-ქაედა ისლამურ მაღრებში (AQIM-Qde.014).<br><br>(Listed pursuant to paragraph 8(a) of resolution 1844 (2008) as "Engaging in or providing support for acts that threaten the peace, security or stability of Somalia, including acts that threaten the Djibouti Agreement of 18 August 2008 or the political process, or threaten the TFIs or AMISOM by force." Adan is also associated with Al-Qaida affiliates, Al Qaida in the Arabian Peninsula (AQAP - QDe.129) and Al-Qaida in the Islamic Maghreb (AQIM - Qde.014)). |
| *სახელები:*<br>1) მაალიმ | ა) მა'ალიმ აიმან (Ma'alim Ayman); | არ არის ცნობილი | ა)კენია/სომალის | 2021 წლის 26 | სანქციების სიაში შეტანილია |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| (MAALIM)<br>2) აიმან<br>(AYMAN)<br><br>*თანამდებობა:*<br>ჯაიშ აიმანის დამფუძნებელი და ლიდერი, ან ალ-შაბააბის იმ დანაყოფის დამფუძნებელი და ლიდერი, რომელიც თავდასხმებსა და სხვა ოპერაციებს ახორციელებს კენიასა და სომალიში.<br><br>(Founder and leader of Jaysh Ayman, an al-<br>Shabaab unit conducting attacks and operations in Kenya and Somalia.)<br><br>*დაბადების თარიღი:*<br>ა)1973 წელი;<br>ბ) 1983 წელი<br><br>*დაბადების ადგილი:*<br><br>კენია<br>(Kenya) | ბ) მო'ალიმ აიმან (Mo'alim Ayman);<br>გ) ნუჰ იბრაჰიმ აბდი<br>(Nuh Ibrahim Abdi);<br>დ) აიმან კაბო (Ayman Kabo);<br>ე) აბდიაზიზ დუბოუ ალი (Abdiaziz Dubow Ali) | | საზღვარი (Kenya/Somalia border);<br><br>ბ)ბადამადოუ, ქვემო ჯუბას რეგიონი, სომალი<br><br>(Badamadow, Lower Juba Region, Somalia) | თებერვალი<br>(26 Feb. 2021) | გაერო-ს უშიშროების საბჭოს 1844 (2008) რეზოლუციის მე-8 პარაგრაფის „ა" პუნქტის შესაბამისად, როგორც „სომალიში მშვიდობის, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებში ჩართული ან მხარდამჭერი პირი, მათ შორის ქმედებებში რომლებიც საფრთხეს უქმნის 2008 წლის 18 აგვისტოს ჯიბუტის შეთანხმებას, პოლიტიკურ პროცესებს, საფრთხეს უქმნის გარდამავალ სამთავრობო დაწესებულებებს ან აფრიკის კავშირის სამშვიდობო მისიას სომალიში." აიმანი მონაწილეობდა 2020 წლის 05 იანვარს კენიაში, სიმბას ბანაკსა და ლამუში |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | განხორციელებული თავდასხმის მომზადებაში.<br><br>(Listed pursuant to paragraph 8(a) of resolution 1844 (2008) as "Engaging in or providing support for acts that threaten the peace, security or stability of Somalia, including acts that threaten the Djibouti Agreement of 18 August 2008 or the political process, or threaten the TFIs or AMISOM by force." Ayman helped with preparations for the 5 January 2020 attack on Camp Simba in Lamu County, Kenya.)) |
| <u>*სახელები:*</u><br>1) მაჰად (MAHAD)<br>2)კარატე (KARATE)<br><br><u>*დაბადების თარიღი:*</u><br><br>1957-1962 წლებს შორის (Between 1957 and 1962)<br><br><u>*დაბადების*</u> | ა) მაჰად მოჰამედ ალი კარატე (Mahad Mohamed Ali Karate);<br><br>ბ) მაჰად უარსამე ქალლეი კარატე (Mahad Warsame Qalley Karate);<br><br>გ) აბდირაჰიმ მოჰამედ უარსამე (Abdirahim Mohamed Warsame) | არ არის ცნობილი | სომალი (Somalia) | 2021 წლის 26 თებერვალი (26 Feb. 2021) | სანქციათა სიაში დამატებულია გაერო-ს უშიშროების საბჭოს 1844 (2008) რეზოლუციის მე-8 პარაგრაფის „ა" პუნქტის შესაბამისად, როგორც „სომალიში მშვიდობის, უსაფრთხოებისა და |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| <u>*ადგილი:*</u><br><br>ხარარადჰეერე, სომალი (Xararadheere, Somalia) | | | | | სტაბილურობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებში ჩართული ან მხარდამჭერი პირი, მათ შორის ქმედებებში რომლებიც საფრთხეს უქმნის 2008 წლის 18 აგვისტოს ჯიბუტის შეთანხმებას, პოლიტიკურ პროცესებს, საფრთხეს უქმნის გარდამავალ სამთავრობო დაწესებულებებს ან აფრიკის კავშირის სამშვიდობო მისიას სომალიში." კარატე გადამწყვეტ როლს ასრულებდა კენიაში, გარისსას უნივერსიტეტ კოლეჯზე უკანასკნელ თავდასხმაზე პასუხისმგებელ ამნიათში, ალ-შაბააბის დანაყოფში, რასაც 150 ადამიანამდე ემსხვერპლა. ამჟამად არის ალ-შაბააბის |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | სადაზვერვო დანაყოფი, რომელიც მთავარ როლს ასრულებს სომალიში, კენიასა და რეგიონის სხვა ქვეყნებში, სუიციდური თავდასხმების აღსრულებასა და მკვლელობებში, და უზრუნველჰყოფს ალ-შაბაბის ტერორისტი მებრძოლებისთვის ლოჯისტიკურ და სხვა სახის დახმარებას.<br><br>(Listed pursuant to paragraph 8(a) of resolution 1844 (2008) as "Engaging in or providing support for acts that threaten the peace, security or stability of Somalia, including acts that threaten the Djibouti Agreement of 18 August 2008 or the political process, or threaten the TFIs or AMISOM by force." Karate played a key role in the Amniyat, the wing of al- |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | Shabaab responsible for the recent attack on Garissa University College in Kenya that resulted in nearly 150 deaths. The Amniyat is al-Shabaab's intelligence wing, which plays a key role in the execution of suicide attacks and assassinations in Somalia, Kenya, and other countries in the region, and provides logistics and support for al Shabaab's terrorist activities.) |

სასამართლო გაეცნო რა საქმის მასალებს, მიიჩნევს, რომ შუამდგომლობა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII$^{8}$ თავით განსაზღვრულია ადმინისტრაციული სამართალწარმოების განხორციელების წესი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების VII თავის საფუძველზე მიღებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესაბამისად სანქციადაკისრებული პირის ქონებაზე ყადაღის დადებასთან დაკავშირებით, კერძოდ:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21$^{30}$ მუხლის თანახმად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (შემდგომ – გაერო) წესდების VII თავის საფუძველზე მიღებული გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესაბამისად, რომელთა მიზანია ტერორიზმის დაფინანსების ან/და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონის 41-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე ბრძანებას გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისიის (შემდგომ – სამთავრობო კომისია) შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.

ამავე კოდექსის 21$^{31}$ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, გაეროს უშიშროების საბჭოს №1373 (2001) რეზოლუციის მოთხოვნების შესაბამისად ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე

სამთავრობო კომისიის შუამდგომლობა დასაბუთებული უნდა იყოს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე სამთავრობო კომისიის შუამდგომლობაში მითითებული უნდა იყოს „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული, ყადაღადასადები ქონების შესახებ მონაცემები მათი არსებობის შემთხვევაში.

ამავე კოდექსის $21^{32}$ მუხლის თანახმად, მოსამართლე ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე სამთავრობო კომისიის შუამდგომლობას დაუყოვნებლივ, ერთპიროვნულად, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილავს. მოსამართლე ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე სამთავრობო კომისიის შუამდგომლობის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას არაუგვიანეს 3 დღისა, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული პირისთვის შეუტყობინებლად. მოსამართლე ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე სამთავრობო კომისიის შუამდგომლობის განხილვისას ითვალისწინებს ყადაღისადმი დაქვემდებარებულ ქონებაზე კეთილსინდისიერ მესამე პირთა უფლებებს. მოსამართლე გამოსცემს სამთავრობო კომისიის შუამდგომლობით განსაზღვრულ ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე ბრძანებას, თუ დაასკვნის, რომ სამთავრობო კომისიის შუამდგომლობაში მითითებული პირი აკმაყოფილებს გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციით განსაზღვრულ სათანადო პირობებს.

დასახელებული ნორმების მხედველობაში მიღებით და საქმეში არსებული მასალების საფუძველზე, სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებობს შუამდგომლობით დასახელებული პირების ქონებაზე ყადაღის დადების საფუძველი.

სასამართლო დამატებით მიუთითებს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილზე, რომლის თანახმადაც თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით. აღნიშნული ნორმის საფუძველზე, სასამართლო ბრძანებას გამოაქვეყნებს საჯარო პუბლიკაციის მეშვეობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის $21^{30}$, $21^{34}$ მუხლებით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს;

2. დაედოს ყადაღა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 751 (1992) და 1844 (2008) რეზოლუციების შესაბამისად მოქმედი სომალის სანქციათა კომიტეტის მიერ გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციების საფუძველზე განსაზღვრულ ფიზიკურ პირთა სიაში დამატებული 3 (სამი) ფიზიკური პირის ქონებას:

| პირადი ინფორმაცია (სახელ(ებ)ი, დაბ. თარიღი და ადგილი, | ფსევდონიმ(ებ)ი, ზედმეტსახელ(ებ)ი | პასპორტის მონაცემები, პირადი | მისამართი /შესაძლო ადგილსამყოფელი | სიაში შეყვანის თარიღი | სხვა ინფორმაცია |
|---|---|---|---|---|---|

| ეროვნება/ მოქალაქეობა) | | ნომერი | | | |
|---|---|---|---|---|---|
| *სახელები:*<br><br>1)აბუქარ (ABUKAR)<br>2) ალი (ALI)<br>3) ადან (ADAN)<br><br>*თანამდებობა:*<br>ალ-შაბააბის ლიდერის მოადგილე<br><br>(Deputy leader of Al- Shabaab)<br><br>*დაბადების თარიღი:*<br><br>ა) 1972 წელი;<br>ბ)1971 წელი;<br>გ) 1973 წელი<br><br>*დაბადების ადგილი:*<br>არ არის ცნობილი<br><br>*მოქალაქეობა:*<br>არ არის ცნობილი | ა) აბუქარ ალი ადენ (Abukar Ali Aden);<br><br>ბ) იბრაჰიმ აფგჰან (Ibrahim Afghan);<br><br>გ) შეიხ აბუქარ (Sheikh Abukar) | არ არის ცნობილი | არ არის ცნობილი | 2021 წლის 26 თებერვალი<br><br>(26 Feb. 2021) | სანქციათა სიაში დამატებულია გაერო-ს უშიშროების საბჭოს 1844 (2008) რეზოლუციის მე-8 პარაგრაფის „ა" პუნქტის შესაბამისად, როგორც „სომალიში მშვიდობის, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებში ჩართული ან მხარდამჭერი პირი, მათ შორის ქმედებებში რომლებიც საფრთხეს უქმნის 2008 წლის 18 აგვისტოს ჯიბუტის შეთანხმებას, პოლიტიკურ პროცესებს, საფრთხეს უქმნის გარდამავალ სამთავრობო დაწესებულებებს ან აფრიკის კავშირის სამშვიდობო მისიას სომალიში."<br>[illegible] დაკავშირებული |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | ა ალ-ქაედასთან აფილირებულ ჯგუფებთან, ალ-ქაედა არაბეთის ნახევარკუნძულსა (AQAP-QDe.129) და ალ-ქაედა ისლამურ მაღრებში (AQIM-Qde.014).<br><br>(Listed pursuant to paragraph 8(a) of resolution 1844 (2008) as "Engaging in or providing support for acts that threaten the peace, security or stability of Somalia, including acts that threaten the Djibouti Agreement of 18 August 2008 or the political process, or threaten the TFIs or AMISOM by force." Adan is also associated with Al-Qaida affiliates, Al Qaida in the Arabian Peninsula (AQAP - QDe.129) and Al-Qaida in the Islamic Maghreb (AQIM - Qde.014)). |
| *სახელები:*<br>1) მაალიმ | ა) მა'ალიმ აიმან | არ არის ცნობილი | ა) კენია/სომა | 2021 წლის 26 | სანქციათა სიაში დამატებულია |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| (MAALIM)<br>2) აიმან<br>(AYMAN)<br><br>*თანამდებობა:*<br>ჯაიშ აიმანის დამფუძნებელი და ლიდერი, ან ალ-შაბააბის იმ დანაყოფის დამფუძნებელი და ლიდერი, რომელიც თავდასხმებსა და სხვა ოპერაციებს ახორციელებს კენიასა და სომალიში.<br><br>(Founder and leader of Jaysh Ayman, an al-<br>Shabaab unit conducting attacks and operations in Kenya and Somalia.)<br><br>*დაბადების თარიღი:*<br>ა)1973 წელი;<br>ბ) 1983 წელი<br><br>*დაბადების ადგილი:*<br><br>კენია<br>(Kenya) | (Ma'alim Ayman);<br><br>ბ) მო'ალიმ აიმან (Mo'alim Ayman);<br><br>გ) ნუჰ იბრაჰიმ აბდი<br>(Nuh Ibrahim Abdi);<br>დ) აიმან კაბო (Ayman Kabo);<br>ე) აბდიაზიზ დუბოუ ალი (Abdiaziz Dubow Ali) | | ლის საზღვარი (Kenya/Somalia border);<br><br>ბ)ბადამადოუ, ქვემო ჯუბას რეგიონი, სომალი<br><br>(Badamadow, Lower Juba Region, Somalia) | თებერვალი<br>(26 Feb. 2021) | გაერო-ს უშიშროების საბჭოს 1844 (2008) რეზოლუციის მე-8 პარაგრაფის „ა" პუნქტის შესაბამისად, როგორც „სომალიში მშვიდობის, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებში ჩართული ან მხარდამჭერი პირი, მათ შორის ქმედებებში რომლებიც საფრთხეს უქმნის 2008 წლის 18 აგვისტოს ჯიბუტის შეთანხმებას, პოლიტიკურ პროცესებს, საფრთხეს უქმნის გარდამავალ სამთავრობო დაწესებულებებს ან აფრიკის კავშირის სამშვიდობო მისიას სომალიში." აიმანი მონაწილეობდა 2020 წლის 05 იანვარს კენიაში, სიმბას ბანაკსა და ლამუში |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | განხორციელებული თავდასხმის მომზადებაში.<br><br>(Listed pursuant to paragraph 8(a) of resolution 1844 (2008) as "Engaging in or providing support for acts that threaten the peace, security or stability of Somalia, including acts that threaten the Djibouti Agreement of 18 August 2008 or the political process, or threaten the TFIs or AMISOM by force." Ayman helped with preparations for the 5 January 2020 attack on Camp Simba in Lamu County, Kenya.)) |
| *სახელები:*<br>1) მაჰად (MAHAD)<br>2)კარატე (KARATE)<br><br>*დაბადების თარიღი:*<br><br>1957-1962 წლებს შორის (Between 1957 and 1962)<br><br>*დაბადების* | ა) მაჰად მოჰამედ ალი კარატე (Mahad Mohamed Ali Karate);<br><br>ბ) მაჰად უარსამე ქალლეი კარატე (Mahad Warsame Qalley Karate);<br><br>გ) აბდირაჰიმ მოჰამედ უარსამე (Abdirahim Mohamed Warsame) | არ არის ცნობილი | სომალი (Somalia) | 2021 წლის 26 თებერვალი (26 Feb. 2021) | სანქციათა სიაში დამატებულია გაერო-ს უშიშროების საბჭოს 1844 (2008) რეზოლუციის მე-8 პარაგრაფის „ა“ პუნქტის შესაბამისად, როგორც სომალიში მშვიდობის, უსაფრთხოებისა და |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| <u>ადგილი:</u><br><br>ხარარადჰეერე, სომალი (Xararadheere, Somalia) | | | | | სტაბილურობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებში ჩართული ან მხარდამჭერი პირი, მათ შორის ქმედებებში რომლებიც საფრთხეს უქმნის 2008 წლის 18 აგვისტოს ჯიბუტის შეთანხმებას, პოლიტიკურ პროცესებს, საფრთხეს უქმნის გარდამავალ სამთავრობო დაწესებულებებს ან აფრიკის კავშირის სამშვიდობო მისიას სომალიში." კარატე გადამწყვეტ როლს ასრულებდა კენიაში, გარისსას უნივერსიტეტ კოლეჯზე უკანასკნელ თავდასხმაზე პასუხისმგებელ ამნიათში, ალ-შაბააბის დანაყოფში, რასაც 150 ადამიანამდე ემსხვერპლა. ამჟამად არის ალ-შაბააბის |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | სადაზვერვო დანაყოფი, რომელიც მთავარ როლს ასრულებს სომალიში, კენიასა და რეგიონის სხვა ქვეყნებში, სუიციდური თავდასხმების აღსრულებასა და მკვლელობებში, და უზრუნველჰყოფს ალ-შაბაბის ტერორისტი მებრძოლებისთვის ლოჯისტიკურ და სხვა სახის დახმარებას.<br><br>(Listed pursuant to paragraph 8(a) of resolution 1844 (2008) as “Engaging in or providing support for acts that threaten the peace, security or stability of Somalia, including acts that threaten the Djibouti Agreement of 18 August 2008 or the political process, or threaten the TFIs or AMISOM by force.” Karate played a key role in the Amniyat, the wing of al- |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | Shabaab responsible for the recent attack on Garissa University College in Kenya that resulted in nearly 150 deaths. The Amniyat is al-Shabaab's intelligence wing, which plays a key role in the execution of suicide attacks and assassinations in Somalia, Kenya, and other countries in the region, and provides logistics and support for al Shabaab's terrorist activities.) |

3. წინამდებარე ბრძანება ძალაში შედის გამოცემისთანავე და მისი გასაჩივრება არ აჩერებს ბრძანების მოქმედებას;

4. ბრძანება განთავსდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჩივრით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მდებარე: ქალაქი თბილისი, გრიგოლ რობაქიძის გამზ., №7ა) მხარისათვის მისი ეგზემპლარის გადაცემიდან 48 (ორმოცდარვა) საათში, ხოლო თუ გადაცემა ვერ ხერხდება, ბრძანების საჯაროდ გამოქვეყნებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით (მდებარე: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

მოსამართლე ლელა მილდენბერგერი